№ 29 — 1917
კვირა მკათათვის 16
ფასი 20. კ
ყოველიფადი ვეხუთე გამოცემისა

კაკი წერეთელი
შინაგან საქმეთა მინისტრად მიწვეული, იგივე ფოსტატელეგრაფის მინისტრი.

საქართველო

გმირთა გმირნო!
რადა გძინავთ?
სამშობლოს მტერს
რად არ გმირავთ?
ძმანო გმირნო!
ხომ არ გძინავთ?
თუ არ გძინავთ,
რად არ სწირავთ
თქვენს სიცოცხლეს
სასახელოს
გმირთ-სამშობლო
საქართველოს?!

დავით კოპალი.

დავით გივიშვილი
სახალხო მგოსანი, გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო.

ომი და ზავი

ჯერ ომიც რომ არ იყოს, რევოლუციის გამარჯვება ისეთ დიდ და მრავალ ეროვან ქვეყანაში, როგორც რუსეთია, მეტად ძნელია.

ასეთი უმაგალითო ომი ამ სიძნელეს კიდევ უფრო ართულებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჯარი მოიქანცა, რომ ჯარი არ თანაუგრძნობს ომს და არცა სწამს მას მეტი გამარჯვება, ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ჯარის სულიერ განწყობილებას დროებითმა მთავრობამ ჯეროვანი ანგარიში არ გაუწია, დიდის სიფრთხილით არ ასწონ-დასწონა.

რევოლუციის პირველ დღეებშივე გამოაშკარავდა ჯარის სულიერი მდგომარეობა.

იმის მაგივრათ, რომ კერენსკი ამ გარემოებას საკმაოთ ჩაკვირებოდა, ის ფრაზებით ცდილობდა ლელოს გატანას და აღარ გაახსენდა, რომ შეიარაღებულ ხალხზე ყოველი ფრაზა არ ახდენს შესაფერ გავლენას.

ვინ ამბობს, რომ შე ძლებოდა ს ი ე მოვატრიალოთ მთელი რუსეთის ჯარი, რომ მან მთელი ასპ რეზი მედგრათ და თავგანწირულათ შეუტ ოს მტერს, ამას რა ჯობია.

მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია.

ეს გამოაშკარავდა რევოლუციის პირველ დღეებშივე.

ამიტომ ნაძალადევი შეტევა, რომელიც კერენსკიმ თავს მოახვია ჯარის სულ მცირე ნაწილს, დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს.

რევოლუციის პირველი დღიდანვე დროებ ით მთავრობას უნდა სცოდნოდა, რომ ომის გაგრძელება რევოლუციისათვის საშიში იქნება.

მას უნდა კარგათ სცოდნოდა აგრეთვე, რომ რუსეთი ზავს ამით ვერ მოიპოებდა.

მაშასადამე უნდა გამოენახა რაიმე ღონე, რომ ზავი როგორმე მოეახლოებინა.

დროებითმა მთავრობამ შეტევა ამჯობინა, კერენსკის ეგონა, რომ მისი ფრაზები მთელ ჯარს სრულებით გარდაქმნიდა და გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც ბევრ უბედურებას უქადის რუსეთსა და რევოლუციას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ გერმანელებმა რუსის ჯარის ასპ რეზი ძალიან დიდზე გაარღვიეს. თუმცა რუსის ჯარი რიცხვითაც და შეიარაღებითაც ჭარბობს გერმანელებისას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჯარი სწრაფათ იხევს უკან და მტერს გზას უხსნის.

თუ ასეთი შემოტევა გერმანელებისა და სწრაფი უკან დახევა რუსის ჯარისა გაგრძელდა, რევოლუციის დიდი განსაცდელი მოელის.

გერმანიასთან ომმა მოგვანიჭა სრული თავისუფლება. შესაძლებელია, ამ ომის გაგრძელებამ შეაჭრას ფრთები ჩვენს ნორჩ თავისუფლებას.

რაც უფრო ძლევამოსილი იქნება გერმანიის ჯარის მსვლელობა რუსეთის შუაგულისაკენ, მით უფრო გაძლიერდება ანარქია, მით უფრო აიწევ — დაიწეწება სასურათო საქმე; მთავრობის გავლენა დაეცემა, ფინანსების მდგომარეობა მთლათ გავუარესდება, ძველი წყობილების დამცველნი, მონარქიის მომხრენი და დემოკრატიულ რესპუბლიკის მტრები — ყველა შეერთდებიან და იერიშს მიიტანენ რევოლიუციაზე.

რევოლიუცია განსაცდელშია.

კონტრ-რევოლიუციას შეუძლიან გაიმარჯვოს მხოლოდ ვილჰელმის დახმარებით.

თუ გავითვალისწინებთ რუსის ჯარის ლეანდელ მდგომარეობას, უთუოთ დავინახავთ იმ მწარე ჭეშმარიტებას, რომ რევოლიუციის გამარჯვება და კონტრ-რევოლიციის დამარცხება ახალ მთავრობას შეუძლია მხოლოდ ზავით და არა შეტევით ან მოგერებითი ომის წარმოებით, რადგანაც მოგერიებითი ომი ბევრჯერ ითხოვს შეტევას.

თუ რევოლიუციის და რუსეთის ხსნა უნდა ახალ მთავრობას, უმთავრესი ყურადღება მან უნდა მიაქციოს ზავს.

ინგლისისათვის ომის გაგძელება ჯერ კიდევ ხელსაყრელია, ამერიკა თანახმაა, რომ ომი თუნდა სამ წელიწადს კიდევ გაგრძელდეს.

ამერიკა ახლა გამოვა და ბრძოლის ველზე და, რაც უფრო გაგრძელდება ომი, მით უფრო გაიტენიან ჯიბეს ამერიკელი კაპიტალისტები.

საფრანგეთი ყოყმანობს, მაგრამ მაინც უნდა მას ზავი. გერმანიაც ყოყმანობს, მაგრამ, მაინც ზავს ეძებს.

ავსტრიის ზავი სწყურია.

რუსეთისათვის ზავის დაგვიანება ყოველ დღე დამღუპველია,

ამგვარ პირობებში ზავის ჩამოგდება შესაძლებელია და ეს უნდა მოახერხოს სოციალისტურმა სამინისტრომ.

თუ ეს არ შეუძლია, რუსეთისა და რევოლიუციის მესაჭეობაც არ უნდა ეკისრა.

ივ. გომართელი.

ჩვენი თეატრი უპატრონო ტაძარია

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო!

მართალია, ჩვენი ხელოვნების ტაძრის ყველა ჯურის მეპატრონენი ეშმაკები არ არიან, მაგრამ მათში რომ ბევრია ავსული— ეს ცხადია.

მერე ვისი ბრალია, რომ ასეთ წმინდა საქმეს, როგორც სათეატრო ხელოვნებაა, უწმინდურნი ეპატრონებიან?

რაღა თქმა უნდა, იმათი, რომელნიც მოვალენი არიან ამ საქმეს ნამდვილად ჰმზრუნველობდენ და კი ვერ ჰმზრუნველობენ...

ხალხს სწყურია სულის საზრდო, გონებრივ-ზნეობრივი გასართობი სარკე.

და როდესაც ამ სარკეში ნამდვილი ოსტატი არ ახედებს, სულ სხვა, შემთხვევით კაცი ჩნდება მესარკედ.

ერთის მხრით მადლობაც-კი გვეთქმის ზოგიერთ იმ სცენის ხელმძღვანელთადმი, რომელნიც თუმცა სასცენოდ არ არიან მოწოდებულნი, მაინც, შეძლებისა დაგვარად, დაბა სოფლებში თეატრს მიუძღვებიან.

განსაკუთრებით უნდა უმადლიდეთ მოზარდ თაობას

ვიცით მათ, „ხელოვნებას“ ბევრი ნაკლი ექნება, მაგრამ სასცენო ხელოვნების პირველნი მერცხალნი სოფელში მაინც ისინი არიან?

ხოლო იგინი სოფლის ხალხს სავსებით ვერ დაკმაყოფილებენ.

ერთად ერთნი გზა ისაა, რომ ჩვენი სათეატრო საქმის მეთაურებმა ბეჯითად მოჰკიდონ ხელი სოფლის სასცენო საქმეს, გამართონ მოძრავი თეატრი (შეიძლება ლექციებური შესავალებით), ჩამოიარონ საქართველოს ყოველი კუთხე, მოაწყონ ადგილობრივი კავშირ-საზოგადოებანი, სათავეში ჩაუყენონ სანდო და მცოდნე კაცები, შეუდგინონ საგანგებო რეპერტუარი, ხელმძღვანელობა გაუწიონ წრეს და სხ.

და ყოველივე ეს უნდა შესრულდეს საქმით, პრაქტიკულად, მისვლა-მოსვლით და არა განცხადება—მოწოდებით, ანუ დეკლარაციით.

ჩვენმა მსახიობებმა ნუ თუ მუდამ მხოლოდ ერთი ადგილი უნდა სტკეპნონ, მუდამ გაკაფულ გზაზე იარონ და ახალი ვერაფერი შექმნან?

ან იქნება ჩვენის სცენის ღვთიური ცეცხლი ჩანელდა?

არა, ეს დაუჯერებელია.

მართალია, ჩვენი სასცენო ხელოვნების კერას ნაცარი მიეყარა, მაგრამ შიგნითან სითბო მაინც გამოსცემს: საჭიროა ნაცარი გადიწიოს და ნაკვერჩხლები გაჩაღდება!

მიზანშეწონილი, მტკიცეთ დაგეგმილი გამუდმებული მუშაობა და--საქმეც აყვავდება.

უბრალო რეკლამა, ჰაი-ჰუი, საზეიმო გამომეტყველება, მყვირალა სიტყვებით მოყელყელება არას გვიშველის.

ტაძარი ჩვენის ხელოვნებისა—ჩვენი თეატრი უპატრონოა და ჭეშმარიტ მაცხოვარს ელისრომ საკურთხეველიდან დაირეკოს ანკარი „მოციქულნი,“ ხოლო საღვდელმსახუროდ აღირჩიოს ჭეშმარიტი ქურუმნი!..

იოსებ იმედაშვილი.

მებრძოლი ქალი

პოემა

I

ძლიერ სარდალსა წინ დასდგომია
ქალი, თამამად თავ აღებული,
და ეუბნება შემდეგ სიტყვებსა,
ფერ-მიმკრთალი და აღელვებული:

—

— „გიხოვთ, გევედრებით, გემუდარებით
მიმიღეთ ომში, მომეცით ხმალი.
მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ვაჟს ნაკლებ
არ ოდეს გასჭრის მამაცი ქალი.

—

მამა დამიჭრეს, ძმაც ეხლა გაჰყავთ,
სატრფო-კი იბრძვის ბრძოლისა ველზე.
მეც მინდა დავრჩე ჩემიანებში,
და თქვენც ბორკილებს ნუ დამდებთ ხელზე.

—

თქვენც კარგად იცით, იმ მკაცრ ბრძოლაში
ურიცხვი ვაჟი დაიხოცება,
ნუ გენანებათ, თუ იმათგანში
ერთი ზედმეტი ქალი მოკვდება.

—

როს ყველა იქ მყავს, სახლში ვით გავსლებ
ჯავრით და ფიქრით განაწვალები,
როს ხსნა სჭირია ჩვენსა სამშობლოს?
და მეც სამშობლოს ვენაცვალები.

—

ახედ-დახედა სარდალმა ქალსა
აუელვარდა ცივად თვალები:
—მე არ მსურს ახლოს იმყოფებოდეს
ძუძუთა ბავშვი, სუსტი ქალები.

—

იქ ნუ გგონია კარგი სურათი,
სისხლით მორწყულა მინდორ-ველები,
რაზედ იფიქრე? მძიმე თოფს ზიდავს
ეგ უსუსური, სუსტი ხელები?!

—

ეხლანდელ დროში ბრძოლა და შრომა
კარგი საქმეა, ლამაზი, წმინდა;
დაჭრილები გვყავს, მომვლელს თხოულობს,
მოწყალების დათ დარჩი თუ გინდა.

—

—„მოწყალების დათ? ოჰ, არა, არა,
რაც რომ არიან—ისინიც კმარა.
მე ველი მინდა თვალ-უწვდენელი
ლილის რიჟრაჟი, ცისა კამარა.

—

ერთი მიბძანეთ რა გენაღვლებათ,
პეტრეს მაგივრად მქვიოდეს ნარო?!
როდესაც მოძმეს ტყვია გაგმირავს,
მსურს ახლოს ვიყო, მსურს დავეხმარო.

—

ნუ ილუშებით. სამოწყალეოდ
არ გადმომხედავს ნუ თუ ეგ თვალი?!
ნუ მტანჯავთ მიტომ, რომ შემოვმედმა
ჩემს უნებურად გამხადა ქალი.“

—

უსმენს სარდალი ცივად, გულ-გრილად.
ამბობს: შენ „შეგფერს ჩემი შვილობა,
რომ შეგისრულო შენი სურვილი,
ეს არ იქნება გულკეთილობა.„

—

—„მაშ უარს ამბობთ? აწ კი მშვიდოაით,
სულ არ გქონიათ კეთილი გული.
ეჰ, ვინ მიხვდება, თუ რას ჩაიდენს
ამ ქვეყნათ ქალი თავ-განწირული.

—

სთქვა და განშორდა სწრაფლად იმ ადგილს,
წარბ-დაშვებული, ძალზე გამწყრალი.
და სარდალსა კი მწარე დაცინვით
აუთამაშთა ტუჩი და თვალი...

—

...გავიდა ხანი... აწარმოებდა
უმაგალითო ბრძოლათა წყებას...
ქალის თხოვნა და ქალის ვედრება
მან უკვე მისცა სრულ დავიწყებას..

II

ლილის ცვარი ვარდ-ყვავილებს
ტყისა ახლოს პირსა ჰბანდა,
შვლისა ნუკრმაც ყური სცქვიტა,
საბალახოთ წამოვარდა.

—

ცისა სივრცემ გადაიღო
ღამის თალხი ქუფრი ფარდა,
ზღვის ფსკერიდან მზისა ბურთიც
ამოიჭრა, ამოვარდა.

—

სხივ-ისარი მოიმარჯვა,
მთისა წვერებს შემოსტყორცნა;
თეთრი თმები დაუშალა
და ჭადარა დაუკოცნა.

—

ულრან კლდის ძირს ნაპრალებში
ცივი წყარო ლაპარაკობს,
ცვარს აპკურებს ბუჩქის ძირებს,
მთელ მიდამოს ართობს, ამკობს.

—

დღეს კი რაღაც სულ სხვა გვარად
საიდუმლოთ ალუკლუკდა,
უცხო, უცხო ზღაპრებს მოყვა,
გააგონოს ყველას უნდა.

—

ამ დროს იქვე ტყის ალქაჯმა
უცაბედად გაირბინა,
წყაროს ჩურჩულს ყური მოჰკრა,
გაილიმა, გაიცინა.

—

შორს გაიქცა .. მიახარა
ამხანაგებს წყაროს თქმული,
ცეკვა-ხტუნვით გამოხატეს
თავიანთი სიხარული.

—

გიჟ ჭოროხის ანცი ტალღა
მომდინარებს, მოჰქრის შარდად.
ველ-მიდამოს დაჰფენია,
უზარ-მაზარ ვერცხლის ვარდად.

—

მოჰქრის რაღაც გაჯავრებით,
ტალღა ტალღას შეახალა,
დაულეველ გზით მსვლელობით
არ შესდგა, არ დაიღალა.

—

ვერ აფერხებს ფიფქი თოვლი,
სეტყვა, მეხი, წვიმა ქარი.
ზღვასთან მიდის, სურს წაუღოს,
რამე კარგი საჩუქარი.

—

მიტომ ხშირად გზისა პირად
თვალ-მარგალიტს კრეფას ეძებს,
რა რომ მივა ზღვას გადასცემს
ძვირფას ქვებს და ლამაზ თევზებს.

—

მდინარის პირს ვით ქალწული
ახალგაზდა ტყე აღზრდილა,
თავს დაჰყურებს, დაჰქათქათებს,
შემოდგომის ნაზი დილა.

—

აქ მცენარე ყოველივე
ხარობს, სტკბება, იღიმება,
თუმცა კაცთა ბოროტ საქმით
თვით ბუნებაც იჩრდილება...

საფო მგელაძე

გაგრძელება იქნება)

ამირანი

(სიმბოლიური ტრაგიკული სურათი—პოეტური საქართველოზე)

იდეა ს. ერთაწმინდელისა *)

სურათი პირველი

ღრუბლებში აჭრილ კავკასიონის მთებში, მაღალ ქედზე მიჯაჭული, თმა-წვერ ჭაღარა მხარ-ბეჭიანი, გოლიათი ამირანი მკერდ-დასისხლიანებული. ბინდ-ბუნდია. მთებს მარჯვენ ვ, დაბლა მოსჩანს ბნელით მოცული საქართველო წინ განუკრობელი ცეცხლი ანთია. პატარა ყურშა-ფინია სცუცქია იქვე და ჯაჭვსა ლოკავს. მოშორებით გდია ვეებერთელა ხმალი, რომელსაც ვერ მიუწვდება. ორბი დაჰფრენია მკერდზე და ჰკორტნის. შორს სიბნელეში მოსჩანს დაბლა თმებ-გაწეწილი დათალხული ქართლის დედა. კულისებში ისმის მწუხარე ზუზუნი და მოთქმა ლექსად:

*) ეს სიმბოლიური სურათი ავტორმა განმან. პუნკტში, ხოლო შალვა დადიანმა. ქართველთა სამხედრო კავშირის საღამოზე დადგეს ორივეგან დამსწრეთ ძლიერ მოეწონათ.

რედ.

კავკასიონის თვალ-უწვდენ ქედზე,
სად მხოლოდ ორბნი თუ ასწვდებიან—
მიჯაჭულია გმირი ამირან,
ორბთა გუნდები მკერდს უკორტნიან.
სისხლი სდის რაინდ საქართველოსა,
ტყვე შებორკილი სისხლით იცლება;
თმებ გაწეწილი ქართლისა დედა,
სტირის და ნატვრით თავსა ევლება!

ფარდა

სურათი მეორე

იგივე სურათი; განთიადია: მთებს იქით მზე ამოდის. ამირანს მარჯვენა ხელი აწყვეტილი აქვს და ხმლისაკენ აქვს გაწვდილი ასაღებად, რომ შეუტიოს ორბს, რომელიც იქვე დასტრიალებს თავზე და რომელსაც ამირანი უბდვერის გაბრაზებული. ქართლის დედა იყურება საქართველოსაკენ. და ხელით ანიშნებს ამირანისაკენ. ამ დროს კულისებში ისმის გამამხნევებელი ხმა, სიმღერა:

აღზდექ გმირთ-გმირო მძინარევ!
სიცოცხლის ცეცხლად მდინარევ.
გაშალე დროშა ძლევისა,
ხმა მოე ბორკილთ მტვრევისა.
თორემ დაგჩაგრა მტერ-ორბმა,
ბრჭყალ-სისხლიანმა ლეშთ მტრფობმა;
ამირან-ქართლო! ბედშაო,
ჯაჭვს გილოკს შენი ყურშაო!

ფარდა

სურათი მესამე

იგივე სურათი. მზე უხვად ჰფენს თ ის ნათელს საქართველოს. ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან არემარეს. ამირანი თავისუფალია. დამსხვრეული ბორკილ-ჯაჭვი იქვე ყ ია. ხ ალი მარჯვენა ხელში უპირავს. მარცხენაში თავისუფლების წითელი დროშა და მკლავზე უზის ფინია, მუდმივი მეგობარი, ხალხური ზღაპრით; ამირანი დიმილით იყურება და ცალი ფეხი უდგია ორბზე, რომ ლიც მკვდარი გდია ძირ , გაბასრული. ქართლი დედა მის გვერდით დაჩოქილია და მწვანე რტოთი ხელში შეჰხარის. გარშემო, დაბლა სხვა და სხვა ყაიდაზე დგანან შვილნი საქართველოსანნი სხვა და სხვა მხრის და ისტორიულ-ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნ. და შეჰხარიან თავისუფლებას კულისებშ ისმის გამარჯვების სი ღერა.

ჰხარობდე ჩვენო ქვეყანავ მზე-საქართველო,
ჰყვავოდე ტურფა მამულო, გმირშვილთ მზრდელო.
კვალადა ბრწყინავს სამშობლოვ, შენი მშვენი | მზე,
იწვევს მსოფლიოს, ლამაზო, მეჯლის-ნადიმზე.
იცოცხლე თავისუფალო,--გიმღერთ მშვენიერს,
ჰზარდე კვლავ გმირნი ქართველნი—მრავალ | ჟამიერს!

ფარდა

როგორ ემსახურებოდენ სოფელს მოხელენი?

(შარეი)

ჩვენი სოფლის მოხელენი ჯიბის გარდა რომ „სოფელსაც ემსახურებოდენ," ნათლად ამტკიცებს მათ მიერ შედგენილი პროგრამა სალიტერატურო-საქეიფო საღამოსი, რომელიც უნდა გამართულიყო აპრილის მიწურულში გორის მაზრის ერთ ერთ სოფელში, მაგრამ ცაზე ღრუბლების არევის გამო ეხლა ციხეში სამგლოვიარო საღამოებსა მართამენ

როდესაც ძველი მთავრობა დაემხო და სოფლად დროებით აღმასრულებელი კომიტეტი ამოვირჩიეთ და შეუდექით სოფლის სამართველოში (ეგრედ წოდებულ „კანცელარიაში„ მათ მიერ დაწყებულ საქმეების განხილვას, საქმეებთან ერთად ქაღალდებში აღმოვაჩინეთ პროგრამა. აი ამ პროგრამის შინაარსი:

„გორის მაზრის სოფელ №-ში აპრილის მიწურულში გაიმართება დიდი სალიტერატურო-საქეიფო საღამო ოთხ განყოფილებად:

1 **განყ**. ადგილობრივი მამასახლისი მახარე ქრთამაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზედ:

ღვინო და არაყი, თუ რამდენათ სასარგებლოა კაცისთვის. იქვე გამოსცლის ერთ ჩარექა არაყს, დაისიებს ძარღვებს და მიმართავს საზოგადოებასა: აბა, ხედავთ ჩემს მკლავებს, თუნდა მთელ სოფელს შეგებრძოლებითო.

2 **განყ** ადგილობრივი ბოქაული და მწერალი გაჯიბრდებიან ღვინის სმაში. ჯილდოთ დანიშნულია მაგდანას დედალი.

3 **განყ**. ამ სოფლის საზოგადოების ექვსი ნაცვალი, ეგრედ წოდებული „პოპონიკები" იმღერებენ შექრთამის სიმღერას:

(მიბაძვა)

ქრთამის ჭირიმე, ქრთამისა,
ის შალამოა გულისა.
ის არის სოფლის მოხელის
გამთელებელი წყლულისა.

—

ქრთამით დავდექით მოხელედ,
ქრთამს ვილებთ საჩივარზედა.
ვინ იცის ეგებ დაგვხოცონ,
ქრთამისვე ალებაზედა.

—

მაგრამ ჩვენ მაინც დავიცათ,
ქრთამის ალებას წესია.

ანვინ რას როგორ გაბედავს,
რადგან ძველთაგან ესია.

4 **განყ**. ადგილობრივი მეზურნეები დაუყრავენ „ჯიგი ჯიგის!"

ბოქაული, მამასახლისი, მწერალი, ნაცვლები, გზირები, ჩაფრები, იასაულები, პოვერნიეი, სანიტრები და სხვა მრავალი სოფლის მოხელეები გადიხთიან საერთო ნადიმს. დანახარჯი სოფელს მიეწერება.

ბმოთეზი.

ყველანი ძალზედ გამობრუჟულები. ჩაფრები ბოქაულის ბრძანებით მაყურებელ საზოგადოებას მოთრახებით აცილებენ სახლებში, რამდენიმე ხნის შემდეგ მიდის ძღვენი ძღვენზე: ცივცივი დგდლები და სველ-სველი საღვინოებით ღვინო, რათა სცენაზედ მოღლილებმა ივახშმონ.

გამგეობა სოფლის მოხელეთა საზოგადოებაა."

ბილეთების ფასი არ იყო გამოცხადებული, რადგან სამი თვით ადრე შესდგომოდნენ საქმეს და შეიძლება პროგრამის შეკეთება სურდათ.

აი როგორ უმსახურიათ სოფლისთვის სოფლის მოხელეებს. **ზ. ზემო-ხანდაკელი.**

ჩემი ნატვრა

1

ნეტავი ვიყო ცეცხლი უშრეტი,
წყალს მასხამდნენ და არ ვნელდებოდე,
და ხალხის ჯალათ-დამჩაგვრელებსა
დასაწვავათა გარს ვედებოდე.

2

ნეტავი ერთი იმ დღეს მოვესწრო,
რომ სიმტყუნესა სიმართლე სძლევდეს,
და მართალს საქმეს ჩვენი მსაჯული
მიუდგომელად ასამართლებდეს.

3

ნეტავი მქონდეს ისეთი გული
უშიშრად ყველგან ვლაპარაკობდე:
ბოროტ საქმეებს სახალხოდ ვგმობდე,
კეთილ საქმესა ქებით ვამკობდე.

4

ნეტავი ვიყო: უტყვი, უენო
ვიდრე მეტყველი არას ვამბობდე,
ან და არ ვიყო ვიდრე, ვიყო და
უსარგებლოდ დავყიალობდე.

5

მე ბევრად მიჯობს ენასა ვინმე
ამომპრიდეს—შორს გადაგდებდეს,
ვიდრე მართლისთვის ძალ მომრეობით
პირში ლაგამსა ამომიდებდეს!..

ვარდენ ყიფიანი (დვანკოთელი.)

ბრაუნ. თავი დავანებოთ! რისთვის? შენ უკვე მზათა ხარ აენთო, აპილპილდე.. ტყუილა ცუდ გუნებაზე გახდები და მეტი არაფერი.

იოჰან. აშკარათ თქვი, ჩემო მეგობარო! გთხოვ ნათლად სთქვა...

ბრაუნ. ეჰ, სისულელეა. რისთვის უნდა ვიბაასოთ.. დეე.. ყველა თვითონ მიხვდეს, რა უნდა გააკეთოს, ან როგორ მოიქცეს..

იოჰან. რა, განა მე ისე ცუდათ ვიქცევი?

ბრაუნ. სხვებზე ურიგოთ არა.. შენც ისეთივე კომპრომისერების მოტრფიალე ხარ...

იოჰან. უკაცრავოთ ნუ ვიქნები, თუ მაგ შენიშვნაზე პასუხს არ მოგცემ. სწორე გითხრა მომბეზრდა (ადგეგებული დგება). საქმე ისაა.. თქვენ, ჩემო მეგობრებო, ყურები გამომიჭედეთ რადიკალური ფრაზებით, მე კი ერთხელ და სამუდამოთ გამოგიცხადეთ, რომ ამ აზრსა და შეხედულობაში თქვენი ამხანაგი არა ვარ! აი ამიტომ ამოვყავი თავი კომპრომისების თაყვანის მცემლებში.

ბრაუნ. დიახ, შენ შენ, მაგრე ამბობ, მაგრამ საქმე კი სხვანაირათაა: როდესაც ჩვენ მივილტოდით ჩვენი იდეალების ლოლიკურ დასკვნამდის მიყვანას, შენ მუდამ გვიკამათებოდი და იცავდი ყველა ძველსა და დრო გადასულს... ეი ამით შემოიფანტე ყველა მეგობრები და შენ კი მარტო დარჩი.

ფრ. კეტ. (დამშვიდებით) იოჰანეს!

იოჰან. მეგობრები .. რომლებიც მე შემეძლო შემომეფანტა, ხელი მეკრა... იმისთანა მეგობრები... სწორე გითხრა, ვაფურთხებ...

ბრაუნ. (დგება) იმათ აფურთხებ? (ანნას შეჰყურებს) რა დროიდან.... იოჰანეს?

ფრ. კეტ. (მტირე ხანს სიჩუმის შემდეგ). ბატონო ბრაუნ. თქვენ კიდეც მისდიხართ?

ბრარნ (განაწყენებულია გულ გრილად) დიახ, საქმე მაქვს.

იოჰან. (ტკბილათ) ნუ სულელობ...

ბრაუნ. არა ღმერთმანი...

იოჰან. როგორც გნებავს.

ბრაუნი. მშვიდობით! (კადის სიჩუმე)

ფრ. ფოკერ. (ჭურჭელს ადგებსა მართლა, ერთი. ეს მითხარით, გეთაყვა, რათ მოგწონთ ბრაუნი ეგრე ძალიან? სწორე გითხრათ, მე ის გადაჭარბებით არა დროს არ მომწონდა.

იოჰან. (გაჯავრებული) დედი, ერთ რამეს გთხოვ...

ფრ. კეტ მაგრამ, ჰანს, ბრაუნი შენთან საკმაოდ მტკიცანია.

იოჰან. გეთაყვათ, ჩემ საკუთარს საქმეებში ნუ ერევით (ისევ სიჩუმეა ფრ. ფოკერატი სტოლს ადგებს. ფრ. კეტე დგება).

იოჰან. (კეტეს) საით?

ფრ. კეტ. ბავშვი უნდა გავაბანო. (თავს უქნევს ფრ. ანნას. ძალიან ტანებით იდიმებს, შემდეგ კადის სწოლ ოთახში. ფრ. ფოკერატი ზოგი ერთა ჭურჭლის გატანას ახერებს ფოდნოსით. შემოსავალი კარები კიდება და გაშოწნდება მოგვაჭრე ქალის თავი, რომელიც იძახის „შემწვანიდე!“)

ფრ. ფოკ. (უბასუხებს) მოვალ, მოვალ! (კადის. სიჩუმეა).

ფრ. ანნა. (საათს ამოიდებს) ეხლა რომელი საათია? (ეკითხება იოჰანეს, რომელიც მოქრუშული ზის) ბბა ბატ. ექიმო, თქვენი საათი სწორეა? (დიდინებს და თან ეშმაკური დიმილით გადაჰყურებს იოჰანეს. ბოლოს ორიგენი იცინიან).

იოჰან (გულიანათ ოხრავს) ეხ, ფრეილინ ანნა; სამწუხაროთ, ყველა ეს სრულებით საეჭვარო არაა.

ფრ. ანნა (თითს უქნევს. დიმილით ემუქრება) თქვენ მე მიფრთხილდით! სიცილი არ იყოს!

იოჰან. (იცინის, შემდეგ სერიოზულათ) გარწმუნებთ, რომ თქვენ სრულებით არ გესმით ამისთანა ქცევაში ბრაუნი რას გულიხმობს ხოლმე

ფრ. ანნა. თქვენ ჯერ არ გაგიგიათ ფორტოპიანზე როგორ ვუკრავ?

იოჰან. არა, ფრეილინ, მე მეგონა, რომ თქვენ სრულებით არ იცოდით ფორტოპიანზე დაკვრა.

ფრ. ანნა. რასაკვირველია არა! მე ისე ხუმრობითა ვთქვი! ბბა, მივდივართ ნავით სასეირნოთ?

იოჰან. სწორე გითხრათ, ყველაფრის ხალისი დამეკარგა.

ფრ. ანნა. (მეგობრულათ თითს უქნევს) ექიმო, ექიმო, ერთ საათში ასე სულით და ცემა როგორ შეიძლება?

იოჰან. მე არ მესმის, იმისთანა კაცი, როგორიც ბრაუნია...

ფრ. ანნა. ისევ ბრაუნი!. ნუ თუ იმისმა სიტყვებმა ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

იოჰან. ფრეილინ, ეს ძველი ისტორიაა, მაგრამ როდესაც მომაგონდება ხოლმე, მაშინ...

ფრ. ანნა. იმ ძველ ისტორიებს თავი დაანებე: ვინც უკან იყურება, ის წინ არ მიდის.

იოჰან. თქვენ მართალი ხართ... ამას თავი დავანებოთ.. აქ საინტერესო მხოლოდ ის არის—კაცმა გაითვალიწინოს, თუ ჭკვიანი კაცები წლითი წლობით როგორა სცვივდებიან ერთსა და იმავე შეცდომაში... ის ხომ სრულიად გულწრფელადა სთვლის უსარგებლოდ ჩემ ფილოსოფიურ შრომას.. შეგიძლიანთ ეს წარმოიდგინოთ?..

რფ. ანნა. დიახ, არის მაგისთანა ხალხი.

იოჰან. ისინი კაცისაგან თხოულობენ მომქმედ შრომას. მათის აზრით საჭიროა ყვირილი, ხმაურობა და რადიკალური ფრაზების ხარჯვა.. არ შეიძლება ეკლესიაში ჯვარის დაწერა თუნდაც რომ პატარძალი სულ სხვა აზრისა და შეხედულების იყოს ამ საგნის შესახებ. საზოგადოთ, არაფერს არ უნდა მიაქციო ყურადღება, უნდა გასწიო პირდაპირ, ჯიქური. მაგრამ თუ ხელს მოკიდებ, როგორც მე, რომელსამე სამეცნიერო შრომას და შეიკეტები ოთხ კედელ—შუა, ეს კი საკუთარი იდეის ღალატს უდრის! უცნაურია განა?

ფრ. ანნა. ოჰ, ექიმო, ნუ აძლევთ მაგოდენა მნიშვნელობას იმას, რასაც თქვენზე ლაპარაკობენ თქვენი მეგობრები. თქვენი შეხედულება და საქმიანობა თუ თქვენ გაკმაყოფილებთ, იმას ნუღარ აქცევთ ყურადღებას, რომ სხვები არ გაძნელებენ და ყველანი თქვენი აზრისანი არ არიან... ამ გვარი შეტაკება კი ადამიანს ტყუილა-უბრალოდ ჯან-ღონესაც აკლებს და დროსაც აკარგვინებს.

იოჰან. არა, არა, რასაკვირველია რომ არა! ცოცხალი მაგას არ ვიზამ, რომ იმათმა შეხედულებამ ჩემზე იმოქმედოს... იმათ თუ რამე არ მოსწონთ—ეგ ჩემი ბრალი **არ** არის, მაგრამ გულ-გრილათ ყურება მაინც შეძლება: მე მაგ ხალხში გავიზარდე და მივეჩვიე, რომ რამდენადმე მაფასებდნენ.... და ერთბაშად ეს დაფასება მოკლდება, ხედიდან მეცლება... ასე მგონია ჰაერი მაკლდება მეთქი.

ფრ. ანნა. თქვენ ოჯახი გაქვთ ექიმო.

იოჰან ოჯახი.. დიახ,.. რასაკვირველია.. ესე იგი... არა ფრეილინ! მოისმინეთ ჩემი პასუხი. აქამდის მე არავისთან კრინტი არ დამიძრავს ამის შესახებ. თქვენ უკვე იცით, რომ მე იმდენადა ვარ დაახლოვებული ჩემ ოჯახთან, რამდენათაც შეჩვეული. მაგრამ რაც შეეხება ჩემ შრომას, სახლობას სრულებით არ შეუძლიან მხარი დამიჭიროს. კეტეს ცოტა კეთილი ხასიათი მაინცა აქვს... საუცხოოა ღმერთმანი.. ყველა და ყველაფერი კარგი ჰგონია, მაგრამ მე ხომ მშვენივრათ ვიცი, რომ იმას არ შეუძლიან საკუთარი მსჯელობა იქონიოს ამა თუ იმ საგნის შესახებ. აბა ამისთანა ადამიანი რაში მარგია? ამიტომაც ჩემი თავი სწორედ ზეცაში მგონია მას შემდეგ, რაც თქვენ ჩვენსა დაბინავდით! ჩემ სიცოცხლეში პირველად ვხედავ ამისთანა ადამიანს, რომელსაც გულწრფელად ეინტერესება ჩემი ნაშრომი, ეინტერესება ის, რის გაკეთებაც ძალმიძს. ეს გარემოება კი მეტად მამხნევებს და მახალისებს... თქვენი აქ მობრძანება ჩემთვის სწორედ გახრიოკებულ უდაბნოში წვიმის მოსვლასა ჰგავს... ხომ!..

ანნა ფრ. ექიმო, თქვენ თითქმის პოეტური ნიჭიც გქონიათ..

იოჰან მაქვს საბუთი, რომ პოეტურ აღმაფრენას მივეცე... თქვენა სცდებით.. დედა ჩემს ჩემი ხელთნაწერები სწორედ ეზიზღება. ამიტომ დიდის სიამოვნებით სულ ერთიან ბუხარში შეუძახებდი რო შეიძლებოდეს. ჩემი კეთილი მამა ხომ ამ ხელთნაწერებისადმი სალმრთო შიშსა ჰგრძნობს. აქედან ცხადია, რომ ოჯახისაგან მხოლოდ წინააღმღეგობას უნდა მოველოდე ჩემი შრომის მიმართ. მაგრამ აქ გასაკვირი არა არისრა .. მარტო მეგობრები და დამრჩენ, მაგრამ ისინიც იოტის ოდენა პატივისცემას არ იჩენენ ჩემი 'შრომისადმი.'. ამისთანა კაცი, როგორიც ბრაუნია...

ფრ. ანნა. მე ის მიკვირს, რომ სწორეთ ბრაუნ გაყენებთ მაგოდენა მწუხარებას.

იოჰა. დიახ, ბრაუნი... ე ი. ჩვენ ბავშობიდან ვიცნობთ ერთმანეთს.

ფრ. ანნა. უკაცრაოთ, ბავშობიდან იცნობთ?

იოჰა. დიახ, და ისიც მიცნობს.

ფრ. ანნა. ის.., თქვენ?.. მართლა?

იოჰა. დიახ, რაოდენიმედ...

ფრ. ანნა. თქვენ სრულებით არ ჰგავხართ ერთმანეთს.

იოჰა. თქვენ ასე გონიათ?

ფრ. ანნა. (მცირე ხანის სიჩუმის შემდეგ) ბატა ბრაუნ ბევრ რამეში ჯერ იმდენად უვიცია, დაუმწიფებელია, იმდენად... მე არ ვამბობ, რომ იმას შურდეს, მაგრამ ის აჯავრებს.. თქვენი ინდივიდუალური თვისებათა თავგამოდებული დაცვა იმას არ ეპატენავება, არ შეესაბამება იმის სულიერ მოთხოვნილებას... ეს თავის პირადობის დაცვა. ის რაღაც ძრწოლას ჰგვრის... იმას რაღაც, აქვს აცრილი: ცნობილი სოციალ-ეკონომიური იდეები აი ამ იდეებს ებღაუბება, რადგანაც საკუთარ ფეხებზე დადგომა არ შეუძლიან, დამოუკიდებლივი აზროვნება არ ეშვინება... როგორც მხატვართა უმრავლესობას, იმასაც არ ეტყობა თავისებურობა. ის თავის თავს ვერ ენდობა, თუ უკან მიმდე, ვარ ბრბოს არ ხედავს...

იოჰა. ოხ, ნეტავი ეს სიტყვები რამდენიმე წლით ადრე გამეგონა., გამეგო მაშინ როდესაც თითქმის დავემონე და დავემორჩილე მეგობრების აზრს. ოხ, ნეტავი ვისმეს ეთქვა ეს სიტყვები ჩემთვის რამდენიმე წლის წინეთ, როდესაც დამარცხებული ვეგდე და ჩემ თავს უსაყვედურებდი-კარგ სახლში მარა ვცხოვრობ, ბევრს რაია ვჭამ და ვსვამ მეთქი... როდესაც მუშის შეხვედრის დროს დაკრთომით გადაუხვევდი გზას და გულის ფანცქალით გაუვლიდი ხოლმე იმ შენობებს სადაც ისინი მუშაობდენ, მაშინ ჩემ ცოლსაც ძალიან ვტანჯავდი. მინდოდა ყველაფერი გამეყიდა, სხვებზე გამეცა, და იმათსავით ღარიბულად მეცხოვრა.. გარწმუნებ, ბევრჯერ იქამდის მივსულვარ, რომ მიჰუგელის ტბაში თავის დარჩობაც განმიზრახავს... ...მაგრამ ეხლა (შდიახას იდებს) მაგრამ ეხლა იმ სულელსა და გადარეულ ბრაუნს უნდა ჩავაგონო.. უნდა დავარწმუნო..

ფრ. ანნ. გაკვირვებითა და თანაც დიმილით უყურებს იოჰანე)

იოჰა. თქვენ როგორ ჰფიქრობთ?..,

ფრ. ანნა. რაც გინდათ ჰქმენით... თქვენ... დიდი ბავშვი ხართ... თქვენ..

იოჰ. ფრეიულინ ანნა!.

ფრ. ანნა. ექიმო, თქვენი გული—მტერია თქვენი.

იოჰა. იცით მე დარწმუნებული ვარ რომ ის ეხლა ცუდ გუნებაზეა, აქეთ იქითაწყდება და ამტომ არ შემიძლიან დავმშვიდდე...

ფრ. ანნა. განა კარგია რო კაცი ამნაირად დამოკიდებულიყოს?..

იოჰა. (გადაწრით) არა, კარგი არ არის. მე ვიცი, რომ ის აქ აღარ მოვა. არასოდეს პირველად არ მოსულა ჩემთან... მაგრამ სულ ერთია!. თქვენ მართალი ხართ! მე იმის საძებნელად არ წავალ., ამ ხელათ მაინც არ წავალ.. მართლა, სასეირნოთ არ მოვდივართ

ფრ. ანნა. მაგრამ რო გინდოდათ თქვენი თხზულების მეორე თავი წაგეკითხათ ჩემთვის?

იოჰა. მოდი ხელთნაწერი თან წავიღოთ?

ფრ. ანნა. ჰო და რა? ეგ კარგი მოიგონეთ! მაშ მე წავალ და ტანთ ჩავიცვამ. (გადის)

იოჰა. (მიდის წიგნების შკაფთან, იდებს ხელთ ნაწერს და დაკვირვებით კითხულობს. ფრაუ ფოკერატი შემოდის კარეთა კარებიდან, ხელში ორი მოგარაუებული წიგნი უჭირავს).

ფრ. ფოკერ. აი ჰხედავ, ეხლა მე წავიღებ ერთერთ თქვენ სავარძელს, გავიკეთებ სათვალეებს და შევუდგები დილის ლოცვას შუაბანდში რო დავჯდე ხომ არ შემცივა?

იოჰან. რასაკვირველია, არა! (თავს მაღლა იდებს) ეგ რა წიგნები მოგაქვს?

ფრ. ფოკ. სიტყვები სიყვარულისა. შენ ხომ იცი.. ჩემი საყვარელი მწერალი ლაფატერია. აი ეს კიდევ გერავია,„ბზის ფოთოლა“ დიახ, ეს იყო ნამდვილი კაცი! მეცნიერებს იმისაგან ბევრი მოხვედრიათ სამართალიანად. (ეხვევა იოჰანეს და გულზე იკრავს ადგრსიანად) ბბა მოხუცო, ისევ დაფიქრიანდი? (ტატა დაცინვით) ახალგაზდა მამა ხარ, არა?

იოჰან. (დაფანტულად, თავს ანებებს ხელთ ნაწერების კითხვას) როდედი? *)

*) შვეიცარიელი მწერალი და მქადაგებელი (174—1801)

ფრ. ფოკ. ახალ მდგომარეობაში, როგორც მამა, თავს როგორ გრძნობ მეთქი?

იოჰა. ეჰ დედი! ჩვეულებრივად. ვერავითარი განსხვავებას ვერ ვგრძნობ.

ფრ. ფოკ. აბა ისევ მოჰყევი! პირველათ კი ცას ეწია სიხარულითა და!.. რითიმე ხომ უკმაყოფილო არ ხარ?.

იოჰა. (დაბნეულად). არა, სრულიად კმაყოფილი ვარ, დედი.

ფერ. ფოკ. მომხედე! შენ ეხლა მუდამ ახალი სერთუკი გაცვია. ანას უეჭველია არ ეწყინება... ურიგო არ იქნება სოფელში ძველი ტანისამოსი ჩაიცვა...

იოჰა. დედი, მე ხომ ყმაწვილი აღარ ვარ!

ფერ. ფოკ. ეჰგე! შენ ეხლავე სჯავრობ. (მაგრათ ჩაიკრავს გულში და ტკბილათ ეუბნება) შვილო, იყავ კეთილმსახური.. მოიქეცი მოხუცი დედის სასიამოვნოთ! გადარეული ჰეკელი და სულელი დარვინი გაგაუბედურეებენ და სიკეთეს არაფერს შეგყრიან!. მომხედე! თუ ჩემი სიყვარული გაქვს!..

იოჰა. (მადლს იუურებს) ოხ, **კეთილო** ადამიანებო: თქვენზედ არის ნათქვამი: უფალო, აპატიე.... რამეთუ არ იციან რასა იქმიან..., ნუ თუ გგონიათ, რომ ასე ადვილია.... კეთილი მსახურება?...

ფერ. ფოკ. (კასგდას ამბორობს) აბა ერთი სცადე. შენ დარწმუნდები, რომ ძალიან ადვილია.. მხოლოდ სცადე!.. ჰანს, ცოტაოდნად მაინც! (კადის შუშაბანდში დაიწყებს, კითხვას. ფრ. კეტე შემოდის. ხელში უჭირავს წერილ)

ფერ. ფოკ. (კითხულობს, მერე შეხედავს) ჰანეს, აი ბანკირიდან წერილია.

იოჰან. კეტე, ეხლა თავი დამანებე, ღმერთმანი გუნებაზე არა ვარ!

ფერ. კეტ. ის კაცი კითხულობს გაყიდით ნაღალდებს თუ არა?

ქოჰან. ღვთის გულისათვის თავი დამანებეთ!.

ფერ. კეტ. ჰანეს, დრო გაუდის. დაგვიანება აღარ შეიძლება.

იოჰან. (ადგებიდგებულა) რას ჩამაცივდი! იქნება ჩემ საქმესაც დრო გაუდის!

ფრ. კეტ. რა ვქნა; მაშ ასე დარჩეს?... მხოლოდ იცოდე, რომ ხვალ ჩვენ ფული აღარ გვექნება.

იოჰან. (უფრო ადგებიდგებული) არა, კეტ მართლა რომ ჩვენ ერთმანეთის შესაფერისნი არა ვართ! თქვენ ყოველთვის ის გიკვირთ რატო ჩვენ სახლში სიმშვიდე და მყუდროება არ არისო!.. განა შესაძლებელია? როგორც კი პატარა დავმშვიდდები, მოვისვენებ და დავარხეინდები სწორეთ მაშინ გამომეცხადები ხოლმე და ყველაფერს გადამიქოთებ, უკაცრაული პასუხია, და მეეტლესავით ამიკრავ ხოლმე სადავეს!..

ფრ. კეტ. სრულებითაც არა. ფოსტალიონი მოვიდა, და მე კიდევ შენ შესატყობინებლათ შემოვედი, მეტი არაფერი მომხდარა.

იოჰან. კიდევაც ეგ არის, კიდევაც ეგ ამტკიცებს თქვენს სრულიად გაუგებრობას, შეუსმენლობას.· ასე გონია ხარაზი ვიყო!.. ფოსტალიონი მოვიდა და შენ კიდევ ჩემთან შემოხვედი შესატყობინებლად, სხვა არაფერი. ძალიან ადვილი სათქმელია!. მაგრამ ის კი აზრად არ მოგდის თავში, რომ ასეთი ქცევით მირღვევ დიდი შრომა-მეცადინეობით გადაბმულ აზრების ჯაჭვს.

ფრ. კეტ. ეგ კარგი, მაგრამ ცხოვრების პრაკტიკული მხარის სრულად დავიწყება ხომ არ შეიძლება?

იოჰან. ერთხელ კიდევ გიმეორებ, რომ ჩემ შრომას პირველი ადგილი უჭირავს! დიახ, პირველი, მეორე, მესამეც... შემდეგ კი შეიძლება პრაკტიკული კითხვების ჯერიც დადგეს.. ეცადე, კეტე, რომ ეს ლაიხსომო ერთხელ და სამუდამოთ! ცოტაოდნათ მაინც ამომიდექ მხარში. უკეთესი იქნება, რომ მაგ პრაქტიკულ კითხვებს სრულებით არ მომაგონებდე... მაგ კითხვების გადაწყვეტა შენ თვითვე, იკისრე ეს ყველას ემჯობინება.. მე ნუ მიშლი!.

ფრ. კეტ. პასუხისგებას მე ვერ ვიკისრებ.

იოჰან. აი კიდეც ეგ არის. არადროს არაფრის პასუხისგებაში არ გინდათ იყოთ! არას დროს და არაფერში დამოუკიდებელი გარდაწყვეტილების მიღება არ შეგიძლიანთ! და ასეთი ქცევით თქვენ, ქალები, განა თვითონ არ აყენებთ თქვენს თავს დამოუკიდებელ მდგომარეობაში, განა თქვენ თვითონ არა სცდი ლობთ, რო მუდამ მცირეწლოვანნი იყვნეთ?.

ფრ. კეტ. (ტდიდობს წერილი მიაჩეჩოს ეჰ, ჰანეს, თქვი ერთი რა ვქნათ და..

ნაცნობები.

(გაგრძელება. ის. „თ. და ც.“ №26)

ყმაწვილი პოლიციელს ყურს ალარ უგდებდა. მას წარმოედგინა ის დრო, როდესაც შვიდთავ ჯანდრონით სავსე ამხანაგებმა ერთად გადაიღეს ეს სურათი. გაახსენდა სამი თავის საყვარელი დახოცილ ამხანაგების ბედი და ცრემლი მოერია.

—სად არიან, სად?

დაჟინებით ეკითხებოდა პოლიციელი.

—უზრდელი ყოფილხარ, უზდელი.

—არ იცი ზდილობა მოითხოვს მობაასეს კითხვაპასუხი გასცე.

სიჩუმე.

—გაათრიეთ აქედან ეს უზრდელი, ვირი ეს მხეცი, ესა. ამისთანას ზრდილობანი და დინჯი ლაპარაკი რათ უნდა ამას მიარტო მუშტები და მათრახები მოიყვანს ჭკუაზე. წყნარად რომ გელაპარაკები, ხომ არა გონია ეს სისუსტით მოგვდის შე...

ოთხიოდ პოლიციელმა ყმაწვილ კაცს სხვა ოთახში უკრეს თავი. აქ დაუწყეს მას უწყალოდ ცემა ხელითა თუ წიხლებით და თან უშვერათ ლანძღავდენ.

— ეყოფა—სთქვა სქელმა კოსტამ როცა ყმაწვილ კაცს პირიდგან სისხლი ამოუვიდა,

—სულ ერთია,—მიუგო გამხდარმა კუზმამ,—აბა რაღა მეჩქარება, დაზვერის დრო გათავდა. ახლა აბა სადღა უნდა წავიდე?

—მე რომ კიდევ წიხლი ჩავარტყა, მოკვდება. ძალიან მძიმე ფეხი მაქვს.

—სულ ერთია ეს მ... გინდ მკვდარი, გინდ ცოცხალი. არც წელან იღებდა ხმას, არც ეხლა იღებს. რომ მოკვდეს მაშინაც ესე გაჩუმებული არ იქნება.

II

გავიდა დიდი ხანი. რუსეთში რევოლიუციამ გაიმარჯვა, რევოლიუციონერები მოექცენენ სათავეში და ყველგან მართვა-გამგებლობა ხელთ იგდეს. ი ერთი ამისთანა მმართველთაგანნი დღეს მთხოვნელებს იღებენ.

ოთახი, რომელშიც ისინი მუშაობენ, კარგა მოზრდილია. კედლებზე უალაგო-ალაგას ლურსმები მოსჩანს, უეჭველია აქ ეკიდა ძველი რეჟიმის რომელისამე წარმომადგენელთა სურათები, მაგრამ რევოლიუციონერებმა იგინი გაუძახეს. ოთახის მოწყობილობა: მაგიდა, შკაფი, სავარძელი, დგამები, მაგიდის მოსართავი მეტად ძვირფასი, იშვიათ გემოვნებაზეა ნაკეთები, რაიცა მომწობს იმის, რომ ეს ოთახი წინედ დიდ ვინმე ბობოლას ეკუთნოდა.

მაგიდას გარს შემოსხდომიან კომისარი და მისი ორი თანაშემწე. ერთი თანაშემწეთაგანი თხოვნებს არჩევს, მეორე-კი წინ გაშლილ რვეულში რაღაცებსაც იწერს. ყველა სამთავგანი მთხოვნელებს უსმენენ და დროგამოშვებით შეკითხვებს აძლევენ.

—ამხანაგებო,—დაიწყო ერთმა თანაშემწემ: გასარჩევია თხოვნა, რომელზედაც ხელი უწერია ას ოცდა ათ კაცს. მთხოვნელები ძველი მთავრობის მსახურნი პოლიციელნი არიან. წინააღმდეგი ხომ არ გექნებათ, რომ შემოვიდნენ? არა?—კარის კაცო, პოლიციელნი შემოვიდნენ.

შემოსული პოლიციელნი სხვა და სხვა თანამდებობისანი იყვნენ. მათში ერევნენ ბოქაულები, მათი თანაშემწენი, უბნის ზედამხედველნი და დაბალი პოლიციელნი. ყველამ მოწიწებით სალამი მისცეს ახალ მთავრობის წარმომადგენელთ.

—თხოვნაზე ხელი უწერია ას ოც და ათ კაცს. აქ კი ორმოცი კაციც ვერ იქნებით. სად არიან დანარჩენნი?

შეეკითხა კომისარი შემოსულებს.

ზოგნი ციხეში სხედან. მილიციონერებმა დაიჭირეს, ზოგნი გარეთ ვერ გამოდიან—ეშინიანთ დაპატიმრებისა. უპასუხა აკანკალებულის ხმით ერთმა მოხუცებულმა პოლიციელმა.

კომისარს გაეღიმა და ამხანაგებს გადახედა. ამხანაგებმაც ღიმილით შემოხედეს.

—იქნებ ბრძანოთ, რომ ციხიდან მოიყვანონ დაპატიმრებული ჩვენი ამხანაგები.

ისევ აკანკალებულის ხმით გაუბედავათ შენიშნა იმავე მოხუცებულმა პოლიციელმა.

—არა, საჭირო არ არის. თქვენც კარგა გვეტყვით რაც გინდათ. მითხარით რასა თხოულობთ?

—ვთხოულობთ, ბ-ნო კომისარო, რომ ყურადღება მოგვაქციოთ, ვითხოვთ მოწყალებას.

გაისმა ოქეთ იქიდგან.

—მაინც რა გინდათ?

კვალად შეეკითხა კომისარი.

—თქვენი დღეგრძელობა, თქვენი სიცოცხლე, თქვენგან მოწყალება'..

იმოერებდნენ პოლიციელნი.

—ამხანაგო,—მიმართა თანაშემწეს კომისარმა,—წაიკითხე ამათი თხოვნა, თორემ ესე ლაპარაკით ბევრ დროს დაგვაკარგვინებს.

—„ჩვენ ქვემორე ამასა ხედის მომწერნი

დაიწყო კითხვა მარცხნით მჯდომმა,— უოფიდნი მსახურნი ძველის მთავრობისა, უმორჩილესის თხოვნით მოგმართავთ თქვენ, ბ. კომისარო, და თვალცრემლიანი გემუდარებით, რათა მოწყალება მოიღოთ ჩვენზედ ვინაიდგან ჩვენ არა ვართ ის პირნი, რომელნიც სულით და გულით ძველი მთავრობის უერთგულესნი ემები და მომხრეები იყვნენ. ვიდაარები, რომ ეოველთვის გეძუდა ძველი მთავრობა და მისი წესები და ვნატრობდით იმ ბრწყინვალე დღეს, ოდეს დაინგრეოდა ნიკოლოზის კასისსლიანებული ტახტი და ბოლო მოეებოდა სასწაული ხალხის წვალებას ჩვენ ემსახურობდით მხოლოდ და მარტო კაპირებისა გამო, ვინაიდგან, როგორც ბრიოლეტარები, იძულებულნი ვიეყვით გვეყოფნა ჩვენი შრომა ჩვენდა სარჩენად. რაგორც შეგიძლიანთ დარწმუნდეთ ჩვენი წარსულიდგან, ჩვენ ეოველთის, რაც კი შეგვეძლო, ვიეყვით ხალხის მომხრენი და მოსარჩლენი, რადგანაც ეოველთვ ჩვენ თავს მის შვილებად და ეხლაც გვინდა სალხსვე ემსახუროთ, ამიტომ ეოველად უმორჩილესად კითხოვთ მოახდინოთ სათანადო კანკარგულება, რათა არ გვაპატიმრებდნენ რაგორც ვინმე დამნაშავეთ და დაგვაბრუნოთ ეველა ჩვენ ჩვენს ძველ თანამდებობაზე...“

აქ შეჩერდა კომისარის თანაშემწე და მიმართა ამხანაგებს:

— ამის შემდეგ გვარებია მთხოვნელებისა, გინდათ ესეც წავიკითხოთ?

— გვარები საჭირო არ არის.

უთხრა კომისარმა თავის თანაშემწეს და პოლიციელებს მიმართა:

— თქვენ, პოლიციელნო, ფიქრადაც არ გაიტაროთ ძველ თანამდებობაზე დაბრუნება. განახლებულ რუსეთში მოწესრიგებულ თქვენ საჭირონი აღარა ხართ, ვერც გამოდგებით. ვინც ციხეშია ციხეშივე მოუხთებათ გამომძიების დასასრულამდე ყოფნა. მათ და შემდეგში დაპატიმრებულთაც, თუ არაფერი დაუმტკიცდათ დაუყონებლივ გავათავისუფლებთ. სხვა რაიმე სამსახურში შესვლისთვის დაგჭირდებათ მოწმობა, რომელსაც ჩვენგან მიიღებთ, უკეთუ თავდებად დაუდგებათ რომელიმე სარევოლიუციო პარტია.

გაათავა კომისარმა და საათს შეხედა. მის გვერდით მჯდომმა მისმა თანაშემწემ კი კალამი ძირს დასდო და გამოელაპარაკა პოლიციელთ.

— ერთი მითხარით გეთაყვა, რომ ხვალ აღდგეს თქვენი ნიკოლოზი მაშინ რაღას იზამთ. ეს თხოვნა რომ ხელში ჩაუვარდეს მის ერთგულ ბობოლა მოხელეს, ხომ ისიც აღარ მიგიღებთ სამსახურში, განა შეიძლება ეგრე ორგულობა იმ მთავრობისადმი, რომელსაც თქვენ შეფიცეთ ემსახურებოდეთ და რომლიც თქვენ გენდობოდათ?!

კომისარი ამ დროს ვიღასაც თვალს თვალში უყრიდა და გაათავა თუ არა მისმა თანაშემწემ ლაპარაკი, მან თავის? ყურადღების საგანს მიმართა:

— თქვენ მე სადღაც უნდა მენახოთ. მითხარით თქვენი გვარი.

— ბ —ავი, ბატონო.

სთქვა ეს პოლიციელმა და სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა.

—გვარით გონს ვერ მოვდივარ. მითხარით სად უნდა მენახოთ... ატატატა, საჭირო არ არის. მე თვით ყველაფერი მოვიგონე. თქვენ აქ დარჩით-კარისკაცო, გაიყვანე დანარჩენები.

კომისარმა ასეთი თავის მოულოდნელი განკარგულებით მეტად დააინტერესა ამხანაგები.

პოლიციელნი, გარდა ერთისა ყველანი გავიდნენ. კომისარმა მიმართა პოლიციელს:

—წინ მოდით. ნუ თუ ვერ მომიგონეთ სად და როდის გვინახავს ერთმანეთი ვერა ქონიათ კაი მეხსიერება.

—ვერაფერი მომიგონია, ბატონო კომისარო, ღმერთს ერწმუნეთ.

ხმის კანკალით წარმოსთქვა პოლიციელმა და უფრო გაფითრდა. მაგრამ მაინც ძალა დაატანა თავს და კომისარს დაეშტერდა უცებ თოფნაკრავივით უკან დაიხია და თავი ჩაღუნა.

— ჰა, გატყობთ მოგაგონდით. ძალიან კარგი. გახსოვთ, მოგაგონდით. რამდენიმე წელია მას უკან, მე თქვენ მოიკითხეთ, თუ სად არიან ჩემი ამხანაგები და რას აკეთებენ ი იმის დაგვიანებული პასუხიც.

ორი მათგანი ჩემთან ერთად ახალ მთავრობას სათავეში უდგანან და თქვენ წინ ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ სხედან გთხოვთ იცნობდეთ. და თუ კვალად გეინტერესებათ შეეკითხოთ სად იყვნენ და რას აკეთებდნენ მაშინ, როცა მე დამატყვევეთ და ზნეობრივად და ფიზიკურად მაწამეთ.

გაფითრებული და თავჩაღუნული პოლიციელი მთლად ცახცახებდა და ხმას არ იღებდა,

— ნუ თუ აღარ გეინტერესებათ გაიგოთ მათი საქმენი?

სიჩუმეს არაფერი არღვევდა.

— რატომ არ მიპასუხებთ ეგ ხომ უზრდელობაა.

შეეკითხა კვალად კომისარი დაცინვის კილოთი.

— თქვით გვარები თქვენი თანამშრომლების და თუ აქ არიან თითონვე დაუძახეთ.

პოლიციელმა ერთი გვარი ყრუდ წარმოსთქვა და ტორტმანით კარებისკენ გასწია.

მეზობლად მოთავსებულ უშველებელ საცდელ ოთახში მოლოდინე პოლიციელებმა ბ-ვის გასვლისთანავე ჩოჩქოლი მოართეს ყველას უკვირდა კომისარის მიერ მარტოდენ სამი კაცის მიხმობა. პოლიციელნი ბ-თვის გარს ეხვეოდნენ და დაჟინებით ეკითხებოდნენ თუ რას ნიშნავდა სამი კაცის გაწვევა და მხოლოდ მათდამი ყურადღება. მაგრამ ბ-ოვი ყველას შეკითხვაზე ერთ და იგივე სიტყვებს იმეორებდა:

— „დამანებეთ თავი, დამანებეთ თავი...“

როცა ბ-ოვი და სამი პოლიციელი კომისარის ოთახს კარებთან მივიდნენ, უკანასკნელნი წინ გადაეღობნენ და აღელვებულის ხმით შეეკითხნენ:

— გვითხარი რაშია საქმე. იმედია რამე, თუ არა, ან მარტო ჩვენ რათ გვიბარებს?

გაფითრებულმა ბ-ოვმა ხეირიანად ვერაკი გაიგო მისკენ მიმართული კითხვა და პასუხის მაგივრად ამღვრეული თვალებით ახედ-დახედა შემკითხველებს, უმალ შეაღო კარი და შევიდა ოთახში. შეშინებული შემკითხველები გაუბედავად შეჰყვნენ. ერთი მათგანი ბოქაულს ტანისამოსით გამოწყობილი, მიუახლოვდა მაგიდას, მდაბლად დაუკრა თავი კომისარს და მეტის მეტი მოწიწებით აკანკალებული ხმით წარმოსთქვა:

— რა წყალობას მოიღებს ჩვენზე ბატონი კომისარი?

კომისარი წარმოდგა ფეხზე, ამაყი სახე მიიღო და ხმა მაღლა მიმართა:

— შემომხედეთ!

პოლიციელებმა გაოცებით დაუწყეს ცქერა.

— ვერა მცნობთ? ამბი კარგა დამაშტერდით და მოიგონეთ სად გვინახავს ერთმანეთი? ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ.

დ. დუკაშვილი

ჩვენი ცხოვრების ისტორის მასალები

ირეოდიონ ევდოშვილის წერილი ტროფიმე ინასარიძესთან *)

ძმაო ტროფიმ!

დამეა. ორი საათისა ერთი ჩარექია გასული საშინელი ხვედა მადგიძებს. დასუსტებული ძალებს ვიბრუნებ წელით გულს, მაგრამ წუთს შემდეგ ერთი ორად მიძდიერდება ხვედა და თუმცა ხარბად ვეწაფები წყალს, მაგრამ იგი ვედარ მშველის. ფეხები დოგინიდამ ვიცვამ ჩუსტებს ბიფარებ საბანს და დავდივარ ოთახში. ხვედა რამდენიმე წამით მიდგება. ეხლაკი შეიძლება დავწვე ვამბობ ჩემს გულებაში და კვლავ ვეშვები სარტყელზე, მაგრამ შევცდი. კვლავ მაწვებინებს ხვედა მერე ისევ ძლიერად, რომ კუშეტკა ქანაობს ჩემს ქვეშ ისევ ფეხები ზეზე ვაკეთებ მაცდინს ჩემს ბაწია ოთახში და ტოტალურად დამშვიდებული ისევ დოგინში ვწვები მინდა დავიძინო, მაგრამ იგივე ხვედა იმნაირადვე მაუნებს დოგინიდამ და მიყვიარ სტოლისაკენ. ვანთებ დამბას, ვიცვავ ტანთ და ვჯდები სკამზე. ხვედა კვლავ მიდგება, მაგრამ დაწოლისაკი მეშინიან, ვიცი ისევ ხვედა ამიტეტებ დოგინში. გახვედებს ასდგები არა. ჰაი დასწეეფდოს დმერთმა ეს რადა ჯანდაბა! კაცო ვფიქრობ ჩემთვის, დოგინშიაც იგივე არა ვარ რაც ზეზე? რატო ეხლა არ მახვედებს შეთქი, ვფიქრობ და ვერ ამიხსნია. კადავსინჯე მთელი მედიცინის უჯრა, ჩემს შკაფში ე. ი. კენჩხაში, აი თავს რომ ეძახიან, მაგრამ შენ არ მოუკვდე ჩემს თასა იქ ვერა ვიპოვვერ ამის ასახსნელი. ეს კითხვა აუხსნელი მივატოვე და ახლა სხვა კითხვა

*) დაწერილია ფოსტის ქაღალდის ორ თაბახზე. ნიშნებს არსად ვუსვამთ, ვბეჭდავთ სრულიად გაუსწორებლად. რედ.

წამოგსულუბე სტოლზედ. ახლა ესე ხომ ვერ ვიჯდები ა სტოლთან, რა ვაკეთო?

აა! აი ნამდვილი დრო წერილების წერის, შერე რამდენი წერილი მაქვს მისაწერი. სახლშიძმასთან ტროფიმესთან, კიკოსთან; (ჩემი მეგობარია) მაშ მოდი შეუდგეთ! შეუდგეთ!! შეუდეგ და აი ბირველ წერილს შენთანა ვწერ. ხოლო ნამდვილი წერილი აქედან იწყება და ის რაც ზევით დავსწერე შეიძლება არც კი წაიკითხო, ან თუ წაიკითხე ისევ უკანვე გადაიკითხე კმარა ოსუნჯობა. ძმაო ტროფიმ! შენი წერილი მი, ვიდე. მართალია, შენთან მე დამნაშავე ვარ ისევე როგორც დანარჩენ ჩემს მეგობარ-ნაცნობებთან, რომელთანაც, რომ რომე ეობა მაქვს და წერილებს ვწერ. ისინიც ისევე მემდურებიან, როგორც-შენ. აგერ მამიზემიდან მესამე წერილი მოდის და მე ერთიც არ მიმიწერია. აგერ სამი თვეა რაც კიკოდან (იხილე ზევითა ნაჯდები) წერილი მივიდე. და დღესაც პასუხარ მიმიცია. ათას ამისთანა მაკალიოებს ჩამოგითვლი, მაგრამ რა საჭიროა. ერთის სიტყვით უთავბოლო კაცი ვარ უნდა გამოგტყდე... აკურატნობას ვერ შეგწყობივარ. კამიკონია, ეს ერთი ნაკლულევანებათაგანია პოეტებისაო. ვერაფერი სიკეთე სჭირებია მამაცხონებულებს; შენ მკითხავ, როგორა ხარო. აგერ ერთი სტენა ზევით აგიწერე ჩემი და მისი ცხოვრებიდან, ხოლო რაც შეეხება დღეს ჭიასავით ხანდისაა გამოგცვლენდები ხოლმე სახლიდან და შევცქერი მზეს. ხან კარგა ვარ ხან ვერა ხან სიცხე და ხველა, ხან ისევ მიბრუნდება. ვწამდობ. აქიმი, წამალი უფასოა, მეგობრები მეხმარებიან. არ შემიძლია ვიჩივლო ჩემს ბედზედ, ჩემზედ ცუდს მდგომარეობაში ბევრნი არიან. გუშინწინ ერთი ჰიქა ვავა კამოშიტანა სახლის პატრონმა. ფანჯარასთან ვიჯექ და ვსვამდიწერილი წვიმა მოდიოდა: კანვიხედე ბარეთ კედლისძირას ქვებზე ფარაჯაში გახვეული მუშა სწევს და სძინავს, წვიმა კი ნელნელა დასდიოდა მას ზევიდან თითქოს ამა ქვეყნისა ძღიერთაკენ ფეხ ქვეშ გათელილს სპეირისუფლობდა. ათასი აზრი დამიტრიალა თავში ამ სურათმა. მე ბედს უჩივდი, იმ დროს, როდესაც ჩემს რამდენსიმე ნაბიჯზედ უბედური, ვინ იცის იქნება მშიერიც, ცივს ქვებზედ ეგდო შეზარებით მაგრამ ვინ იცის იქნებ მოგრადიც იყო. ეს უარესი. უსინდისო, ზნეობრით დაცემული კაცი ლოთობს და ხვინჭაში უნდა რომ დაიგიწყოს, დახშოს ის იდუმალი ხმა, რომელიც მას სიდამდეც ჩასჩურჩულებს, „უსინდისოვო“ მუშა, ლოთობს, სვამს, იმისთვინ, რომ დვინჭაში უნდა დაივიწყოს თვისი ჭირვარამი. ტანჯვა... ვაება... სიდარიბე... ძუნწი ცხოვრება...

აგერ ერთი ჯერ-ჯერობით ვერსად ვიშოვე. ილიეთს ბროტექტორები ერთი მეიჯოზედ უხეირონი გამოდგნენ. შენ მწერ ან ამ თვეში ან იმ თვეში ტოტა ფულს გამოგიგზავნიო. ეგ დაშვარა. ძალიან მეწყინება, მაგით გულს მატკენ შენ. რომ მდიდარი იყო, შეგეძლოს, დაიდაც რატომ მიეიდებოდი შენგან დახმარებას და თუნდაც ადარ დამებრუნებინა ფული ერთი ბეწოთაც სინდისი არ დამტანჯავდა, რადგანაც ვიცი მას ეს ფული კანონიერ გზით უკანონობაში შეეძენია. მაგრამ, შენ, შენ რომელსაც თითო გროში ვინ იცის რა ჯაფით (თქვენი სამსახური კატორღა.) შეგიძენია, როგორ გამოგართვა მერე იმის შემდეგ, როდესაც შენ შეგვე ერთხელ გამიწვიე დახმარება.

თუმცა მაგ ფულს ბირველსავე შემთხვევაში დაგიბრუნებდი, ისე როგორც იმას რაცა მმართებს, მაგრამ არ შემიძლიან კვლავ დაგესესხო არც თავმოუყარეობა მაძლევს ამის ნებას და არც ზნეობრიები მხარე.

წარსულ დღეებში რედაქციაში მითხრეს ინასარიძიდან ფული მოვიდეთო. კეთილი მეოქი ხოლო, იცოდეთ კაზეთი მოელი წლით უნდა უგზავნოთ, რასაკვრველია. დიახ. შენ ეს „არა მარგე“ ტვინის სარჩო „ივერია“ მოგივა იმ წლის პირველ ივნვარამდე. არ ვიცი კიდევ დამრჩა რამე სათქმელი? მართლა, კორესპონდენტია, სრულებით გადამავიწყდა ვერა ვკითხე რა იმის შესახებ.

მე ტოტა შუადი გამოგიგზავნიდა რედაქციის ვიცე-რედაქტორთან. მოთხრობა მივიტანე. ფასი ოცი მანეთი შეეთანხმდით. იყო აგერ ოებერვლის პირველიდან. აი დღეს, აი ხვალ, მატეუვეს აქობამდის და ნახა ფასიანი იყო გამიძალდეს სალქმე. მე მეტი ვედარ მოვითმინე და ერთი ორი, მეორნი მეტი იყო (ოთხასი ოცი მანეთია და მე კი იმ ხუთეულის შემდეგ სამანელ ხუთრობის გუნებაზე ვარ) არა კეთილხმოვან სიტყვის შემდეგ უკანვე გამოგითხოვე ის უბედურს დღეზედ დაბადებული და „მოამბის“ რედაქციაში ვატაუტე თავი. ნახეთ რა იქნება თუ დაიბეჭდა და თუ მანდ მოამბე არავის მოსდის ერთს ეგზემპლიარს გამოგიგზავნით. „კვალის“ თაობაზე რომ მოგ-

წერო და დავიწყო თავის მართლება წერილი... . ხოლო იმას კი გეტყვი რომ მიზნის მისაღწევად კაცს შეუძლიან იხმარონ არა წმინდა საშუალება თუ მიზანი მაღალია და სარგებლობით ადამიანებს იმ უწმინდურს საშუალებას. კიდევ ბევრს ვიდაპარაკებდით მაგრამ. .

ირიდიონ.

მოგიკითხავ სიმონ წერეთელს, კალენდრის სიქმე სწორედ განგების (провиденіе) საქმეა! ოცოტა ხუთი უკლია გავათავე შენი წერილი. წერტილი მძიმე არწილმა დაუსვა მე სხვა წერილების უბრუნდები. მომიკითხე არწილა გიორგი და.... თუ ვინმე დამაზი ქალი შეგხვდეს ისე შინაურულად.

სხვა და სხვა ამბები

(გაზეთებიდან).

— **შინეთმა დამოუკიდებლობა** გამოაცხადა. მკათათვის 6 ფინეთის სეიმზე, სენატზე და მთავრობის სხვა შენობებზე ფინური ეროვნული დროშები აფრიალდეს.

— **უკრაინელმა ჯარებმა** კიევში მიდიტა გადაუვენეს და თავისი გადარჯები დაუვენეს. მიდიტიის უფროსი და ქალაქის კომენდანტი დატუსადეს. სადამოთი წესიერება აღადგინეს.

— **საქართველოს კათალიკოსს,** სინოდის გადაწყვეტილებისამებრ, საცხოვრებლად მიენიჭა მცხეთა, ხოლო კავკასიის მიტროპოლიტს (დღემდე საქართველოს ეკლესიისად წოდებულ) —თბილისი.

— **აკაკი ჩხენკელს,** შაბათს კოჯრიდან თბილისს დაბრუნების დროს, გზაზე, სადამის 10 ს თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი. დეპუტატი გაცარცვეს, ხოლო მისი თანამგზავრი, ნათიკ ვექილი მაჰვარიანი, წინააღმდეგობის გაწევისათვის, თავში დასჭრეს. დასჭრეს ერთი მიდიტიონერიც, რომელიც ამხანაგებით დეპუტატს მიეშველა. ბორტ განმზარხველნი მიიმალნენ.

— **მინისტრთა** თავმჯდომარე ფეოფანე გალადგა. მისი ადგილი დაიკავა კერენსკიმ.

— **შინაგან საქმეთა** მინისტრად კაკი წერეთელი მიიწვიეს. იგივე დარჩება ფოსტა ტელეგრაფის მინისტრად.

— **გერმანელებმა** გენ.ათრნიდოვის ფრონტი გაარღვიეს.

— **ქართველს მხედართა** კავშირის თათხნობით შემდეგარ სავარჯიშო „ხაზოგადოებ„ ამირანი“. დამფუძნებელი კრება შესდგა მკათათვის 9.

— **ცნობილი ბურცევი** ატხედებს, რუსეთის დასამხობად იდგწოდენ ბოლშევიკები ლენინი, მ. გორკი, ტროტკი და სხ. ზოგიერთ მათგანს ატუსადებენ.

— **ჩრდილოეთის ფრონტის ერთერთ კორპუსში მყოფ ქართველ სამხედრო პირთაგან** თბილისში ჩამოვიდნენ დელეგატები: ექიმი მისეიდ იშხნელი და ჯარის კაცნი იოდიანე თოფურია და ვარდამ ხარებაშვილი. მათ დავალებული აქვს:

1. მოდაპარაკება გამართონ ქართველ სამხედრო კავშირის გამგეობასთან სრულიად საქართველოს ქართველ ჯარის კაცთა დელეგატების ყრილობის მოწვევის შესახებ ქ. თბილისში არა უგვიანეს 1 აგვისტოსა.

2. ქართ. სამხ. კავშ. გამგეობას წარუდგინოს ჩრდილოეთის ფრონტის № კორპუსის ქართველთა შემუშავებული საერთო ყრილობის დღის წესრიგი განსახილველად.

3 დელეგატებს ევალებათ ქართ. სამხ. კავშირში ან სხვაგან სადმე ოფიციალ მსჯელობა-კამათში დაცვან საქართველოს ეროვნულტერიტორიალური ფართე ავტონომია.

4 ამ დებულებათ განსახორციელებლად მუშაობაში დელეგატებს ეძლევათ ერთი ერთ თანხმობით მოქმედების დამოუკიდებლათ და შეუძლიანთ პირადი ან წერილობით მოდაპარაკებ ამართონ ქართველთა სამხედრო კავშირებთან და პოლიტიკურ პარტიებთან საქართველოს უფლა ქალაქებში სადაც საჭირო იქნება.

წერილი რედაქციის მიმართ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 28 №-ში მოთავსებული არ. ფაცულაიას ცნობა. თითქოს ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოს ნება დაერთოს აბაშიძის სცენის მოყვარეთა ჯგუფისათვის კავშირის სახელით წარმოდგენები ჰმართონ აბაშის რაიონში. ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ კავშირის საბჭოს ნება არ მიუცია წარმოდგენების მართვისა არც აბაშისა და არც სხვა ამგვარ სცენის მოყვარეთა ჯგუფთათვის და აბაშის ჯგუფის მიერ მითვისება კავშირის ფირმისა უკანონო და შეუწყნარებელია.

ასეთი მოვლენა რომ აღარ განმეორდეს, კავშირის საბ ომ სათანადო ზომებს მიჰმართავ.

პატივისცემით კავშირ ს თავმჯდომარე: **კონსტ. ანდრონიკაშვილი.**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“

ფონდის სასარგებლოდ

ისაკ მახარბეგის ძის მახარაძისაგან მივიღეთ ხუთი მან.

რედაქტორ-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

ხელოვანი მხატვარი დ. კიკნაველიძე

ადიდებს ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებს ყოველ გვარ საქმეს (საეკლესიოს და სხ.) შენაკვეთს ამზადებს საუცხოოდ, ფაქიზად და დროზე. თბილისში დროებითი მისამართი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში (ბაზრის ქ № 20), ბაქოში პოროხოვის ქ № 56, შეკვეთას მიიღებს ფოსტითაც.

სასახლის ქუჩა
თავად აზნ. სახლი

„ერთად ერთ რესტორან „**კაფე პარიზს**“ **საზაფხულოდ აქვს ბაღი**, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილის** და **ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და კაბინეტები. **სანოვაგე საუკეთესო ღირსებისაა**

პატივისცემით სილ. გიგიბერია.

ალალიკლუბი 1 ქვირის პროგრამმა

ოტრშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ხუამშაბათი - საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ

შაბ — საღ.

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოტრშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი—, საოჯახო საღამო

შაბათი—რუსული წარმოდგენა

კვირა—სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები - 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა—კონცერტების—სინოგრაფ—საღ. 8 ნახ. ს-ტეა

„თეატრი და ცხოვრება“

პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნ. № 1, ფოსტით: Тифлис, ред. „Театри да Цховреба“—

Іос. Имедашвили.

სტამბა „სორაპანი“